

თავი 21**ფინანსური ანგარიშგება – ტესტები**

1. ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ექვემდებარება გამოქვეყნებას, წარმოადგენს:
 - ა) საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას;
 - ბ) შიდა ანგარიშგებას;
 - გ) სპეციალურ ანგარიშგებას.
2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტი-საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების თარიღისათვის არის:
 - ა) ანგარიშგება საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
 - ბ) ბალანსი;
 - გ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.
3. რომელი გამონათქვამია მართებული, ფინანსური ანგარიშგების პერიოდი მოიცავს:
 - ა) კალენდარულ წელს;
 - ბ) თორმეტთვიან პერიოდს;
 - გ) კვარტალს.
4. ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითად დაშვებას წარმოადგენს
 - ა) არსებობა;
 - ბ) შინაარსის ფორმაზე აღმატებულება;
 - გ) ფუნქციონირებადი საწარმო.
5. მოთხოვნა, ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია წარდგენილ იქნეს განცალკევებულად, წარმოადგენს მოთხოვნას:
 - ა) შესადარისობის მიმართ;
 - ბ) არსებობის მიმართ;
 - გ) შესაბამისობის მიმართ.
6. ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება:
 - ა) სააღრიცხვო სამსახურის უფროსს;
 - ბ) დირექტორთა საბჭოს;
 - გ) პარტნიორებს.
7. ბალანსი შედგება:
 - ა) 3 ძირითადი კომპონენტისგან;
 - ბ) 4 ელემენტისგან;
 - გ) 3 ძირითადი ელემენტისგან.
8. ბალანსის ძირითადი ელემენტებია:
 - ა) შემოსავლები, ხარჯები, კაპიტალი;
 - ბ) აქტივები, ვალდებულებები;
 - გ) აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი.

9. საბალანსო ტოლობა არის შემდეგი:

- ა) მოგება უდრის საკუთარ კაპიტალს გამოკლებული ხარჯები;
- ბ) აქტივები უდრის ვალდებულებებს დამატებული საკუთარი კაპიტალი;
- გ) ვალდებულებები უდრის საკუთარ კაპიტალს გამოკლებული მოგება.

10. აქტივი არის:

- ა) დანახარჯი, რომელმაც მოიტანა ეკონომიკური სარგებელი;
- ბ) დანახარჯი, რომელსაც არა აქვს უნარი, მოიტანოს სარგებელი;
- გ) დანახარჯი, რომლისგანაც საწარმო მომავალში ელოდება სარგებელს.

11. ვალდებულება არის:

- ა) საწარმოს მიერ გამოცხადებული ფასდათმობა;
- ბ) საწარმოს მიერ წინასწარ გაწეული ხარჯი;
- გ) საწარმოს მიერ წინასწარ მიღებული შემოსავალი.

12. საკუთარი კაპიტალი არის:

- ა) ვალდებულებას + აქტივები;
- ბ) აქტივის ის ნაწილი, რომელიც რჩება საწარმოს ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ;
- გ) საწარმოს მესაკუთრეთა შემოსავალი.

13. ბალანსი უნდა მოიცავდეს შემდეგი პერიოდის ინფორმაციებს:

- ა) მიმდინარე წლის (შედგენის დღემდე);
- ბ) მინიმუმ ბოლო ორი წლის;
- გ) საწარმოს პირველი და ბოლო წლის.

14. ბალანსში მუხლების განლაგებას საფუძვლად უდევს:

- ა) ფინანსური რესურსების კლება ან მატება;
- ბ) აქტიური და პასიური ანგარიშები;
- გ) ლიკვიდურობის მიხედვით კლება ან მატება.

15. ბალანსი სტრუქტურულად შეიძლება იყოს:

- ა) 5 კომპონენტისათვის განკუთვნილი მინიმუმ 5 გვერდიანი დოკუმენტი;
- ბ) ვერტიკალური დოკუმენტი;
- გ) ვერტიკალური ან ჰორიზონტალური წყობის დოკუმენტი, დანართებით.

16. ბალანსის შედგენა:

- ა) ნებაყოფლობითია (დგება პარტნიორობა მოთხოვნით);
- ბ) სავალდებულოა, საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის;
- გ) დგება ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავებისას.

17. მოგება-ზარალის ანგარიშგება გვაწოდებს ინფორმაციას:

- ა) საქმიანობის შედეგების შესახებ;
- ბ) ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- გ) ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

18. ხარჯების კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება:

- ა) ლიკვიდობის მიხედვით;
- ბ) ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
- გ) ფუნქციონირებადი საწარმოს მიხედვით.

19. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ჯგუფდება:

- ა) ფინანსური ხარჯები;
- ბ) საოპერაციო ხარჯები;
- გ) არასაოპერაციო ხარჯები.

20. მოგება-ზარალში ხარჯების ფუნქციების მიხედვით წარმოდგენილს, ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკურ შინაარსზე:

- ა) უნდა გადმოიცეს ახსნა-განმარტებებში;
- ბ) უნდა გადმოიცეს მოგება-ზარალში ქვეჯგუფებად;
- გ) საჭირო არ არის დამატებითი ინფორმაცია.

21. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი:

- ა) ფინანსური ხარჯი;
- ბ) იჯარის ხარჯი;
- გ) წარმომადგენლობითი ხარჯი.

22. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი:

- ა) რეკლამის ხარჯი;
- ბ) საგადასახადო ხარჯი;
- გ) სატრანსპორტო ხარჯი.

23. ფუნქციების მიხედვით დაჯგუფება ხდება:

- ა) საოპერაციო ხარჯების
- ბ) არასაოპერაციო ხარჯების
- გ) განსაკუთრებული ხარჯების

24. ამონაგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ აისახება:

- ა) ფასდათმობის გარეშე;
- ბ) ღღვ-ის გარეშე;
- გ) ამონაგებთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე.

25. თუ მოგება-ზარალი მოიცავს ინფორმაციას – მარაგის ნაშთის ზრდა, მაშინ ის საოპერაციო ხარჯებს:

- ა) ემატება;
- ბ) აკლდება;
- გ) არ ცვლის;

26. მოგება საოპერაციო საქმიანობიდან წარმოდგენილი იქნება მოგება-ზარალში, რომელიც მომზადებულია:

- ა) ფუნქციების მიხედვით;
- ბ) ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
- გ) ორივე შემთხვევაში.

27. ფულადი ნაკადები საწარმოში შემოედინება:

- ა) სავაჭრო ამონაგების მიღების შედეგად;
- ბ) დებიტორული დავალიანების წარმოქმნისას;
- გ) კრედიტორული დავალიანების შემცირების დროს.

28. ფულადი ნაკადები საწარმოდან გაედინება:

- ა) აქციების ემისიის დროს;
- ბ) დივიდენდის გამოცხადებისას;
- გ) იჯარის, კაპიტალის, დაზღვევის ხარჯის გადახდის დროს.

29. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაჯგუფებულია:

- ა) საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობად;
- ბ) საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობად;
- გ) საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობად.

30. ფულად სახსრებში იგულისხმება:

- ა) ფულადი სახსრების ეკვივალენტები;
- ბ) მოკლევადიანი სესხები;
- გ) მოთხოვნები

31. ფულადი სახსრების ეკვივალენტია:

- ა) მოკლევადიანი, მაღალილიკვიდური ინვესტიციები;
- ბ) უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში;
- გ) მოკლევადიანი სესხები.

32. გრძელვადიანი აქტივების შეძენა და რეალიზაცია კლასიფიცირდება როგორც:

- ა) საფინანსო საქმიანობა;
- ბ) საინვესტიციო საქმიანობა;
- გ) საოპერაციო საქმიანობა.

33. საფინანსო დაწესებულებიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი განიხილება როგორც:

- ა) ფულადი სახსრების ეკვივალენტი;
- ბ) საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფული;
- გ) საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფული.

34. საოპერაციო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება:

- ა) ფიქსირებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- ბ) საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- გ) ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული თანხები.

35. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად განიხილება:

- ა) საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- ბ) გრძელვადიანი დებიტორების მიერ სესხის დაფარვიდან მიღებული თანხები;
- გ) ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული თანხები.

36. სხვა საწარმოების კაპიტალის წილის შესაძენად გადახდილი ფული წარმოადგენს:

- ა) საოპერაციო ფულად ნაკადებს;
- ბ) საინვესტიციო ფულად ნაკადებს;
- გ) საფინანსო ფულად ნაკადებს.

37. მიღებული პროცენტი და დივიდენდი შეიძლება მიეკუთვნოს:

- ა) მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებს;
- ბ) საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებს;
- გ) მხოლოდ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებს.

38. მოგების გადასახადი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს:

- ა) როგორც საოპერაციო ისე საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან;
- ბ) მხოლოდ საოპერაციო საქმიანობასთან;
- გ) არ ცერტი ვარიანტი არ არის სწორი.

39. საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს და წარედგინოს:

- ა) საოპერაციო მეთოდით;
- ბ) არაპირდაპირი მეთოდით;
- გ) ირიბი მეთოდით.

40. ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რომელი მეთოდის გამოყენების დროს იწყება წმინდა მოგების მაჩვენებლით.

- ა) პირდაპირის;
- ბ) არაპირდაპირის;
- გ) არც ერთის.

41. არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება:

- ა) მხოლოდ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიმართ;
- ბ) ფულადი სახსრების ანგარიშგების ყველა კომპონენტის მიმართ;
- გ) საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების მიმართ.

42. საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით გაანგარიშებისას წმინდა მოგებას აკლდება:

- ა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემცირება;
- ბ) კრედიტორული დავალიანების ზრდა;
- გ) დებიტორული დავალიანების ზრდა.

43. გადასახადების დავალიანების შემცირება:

- ა) პირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს ემატება გადასახადების ხარჯს;
- ბ) არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს აკლდება წმინდა მოგებას;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

44. საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების გაანგარიშებისას წინასწარ გადახდილი ხარჯის ზრდა:

- ა) პირდაპირი მეთოდის გამოყენებისას ემატება საოპერაციო ხარჯებს;
- ბ) არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებისას ემატება წმინდა მოგებას;
- გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

45. ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ, გვაწოდებს ინფორმაციას:

- ა) წმინდა აქტივების ზრდის ან კლების შესახებ;
- ბ) საწარმოს გადახდისუნარიანობის შესახებ;
- გ) საწარმოს ფინანსური ვალდებულებების შესახებ.

46. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შესახებ შედეგობრივ ინფორმაციას გვაწოდებს მხოლოდ:

- ა) ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ;
- ბ) ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- გ) მოგება-ზარალის ანგარიშგება.

47. ეკონომიკური შინაარსით შემოსავალი, რომელიც შეიძლება არ აისახოს მოგება-ზარალში, არის:

- ა) აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი;
- ბ) აქტივების გადაფასებით მიღებული შემოსავალი;
- გ) ვალების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი.

48. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგი, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში აისახება:

- ა) სააქციო კაპიტალის ნაშთზე;
- ბ) გაუნაწილებელი მოგების ნაშთზე;
- გ) სარეზერვო კაპიტალის ნაშთზე.

49. ანგარიში, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ, უნდა მოიცავდეს:

- ა) სამი პერიოდის ნაშთს;
- ბ) ორი პერიოდის ნაშთს;
- გ) ერთი პერიოდის ნაშთს.

ფინანსური ანგარიშგება – ამოცანები**სამარჯიშო N1**

დავალება: ქვემოთ მოცემული ინფორმაციდან შეარჩიეთ ინფორმაცია, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ და მათი გამოყენებით შეადგინეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება:

- ა) ხარჯების ფუნქციების მიხედვით, კლასიფიკაციის მეთოდის გამოყენებით;
ბ) ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, კლასიფიკაციის მეთოდის გამოყენებით.

ამონაგები	346.000
წლის განმავლობაში შეძენილი მასალები და ნედლეული	180.000
საწარმოს პერსონალის ხელფასის ხარჯი	35.000
ადმინისტრაციის პერსონალის ხელფასის ხარჯი	5.000
მიწოდების სფეროს პერსონალის ხელფასის ხარჯი	3.000
სამქროს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის ხარჯი	6.000
ოფისის იჯარის ხარჯი	10.000
რეკლამის ხარჯი	2.000
საწარმოო ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	22.000
სესხის პროცენტის დასაფარავად გაწეული ხარჯი	5.000
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	6.000
ობლიგაციებზე გადახდილი პროცენტები	9.000
გადახდილი სასესხო ვალდებულებები	10.000
საოფისე ტექნიკის ცვეთის ხარჯი	22.000
ძირითადი საშუალებების შეძენა	15.000
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	20.000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზრდა	5.000
ზარალი ფორსმაჟორული სიტუაციიდან	4.000

ამოხსნა:

ხარჯების დაჯგუფება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

1) პერსონალის შენახვის ხარჯი

2) ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

3) სხვა საოპერაციო ხარჯები

4) ფინანსური ხარჯები

5) სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

მოგებისა და ზარალის წლიური ანგარიშგება,
რომელიც სრულდება 20X2 წლის 31 დეკემბერს
(ხარჯების კლასიფიკაციის ილუსტრირება, მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით)

(ლარი)

20X2 20X1

ამონაგები

ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგსა და

X

დაუმთავრებელ წარმოებაში (ზრდა)

X

შეძენილი ნედლეული და მასალები

X

პერსონალის შენახვის ხარჯები

X

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

X

სხვა საოპერაციო ხარჯები

X

საოპერაციო მოგება

X

ფინანსური ხარჯები

X

სხვა არასაოპერაციო ხარჯები

X

მოგება დაბეგვრამდე

X

მოგების გადასახადი

X

წმინდა მოგება ჩვეულებრივი საქმიანობიდან

X

განსაკუთრებული მუხლები

X

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება

X

ხარჯების დაჯგუფება ფუნქციების მიხედვით

1) რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2) კომერციული ხარჯები

3) ადმინისტრაციული ხარჯები

4) ფინანსური ხარჯები

5) სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

**მოგებისა და ზარალის წლიური ანგარიშგება,
რომელიც სრულდება 20X2 წლის 31 დეკემბერს**

(ხარჯების კლასიფიკაციის ილუსტრირება, ფუნქციების მიხედვით)

(ლარი)

	20X2	20X1
ამონაგები		X
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	_____	X
საერთო მოგება		X
კომერციული ხარჯები		X
ადმინისტრაციული ხარჯები	_____	X
საოპერაციო მოგება		X
ფინანსური ხარჯები		X
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	_____	X
მოგება დაბეგვრამდე		X
მოგების გადასახადი	_____	X
წმინდა მოგება ან ზარალი ჩვეულებრივი საქმიანობიდან		X
განსაკუთრებული მუხლები		X
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება	_____	X

სამარჯიშო №2

ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე, შეადგინეთ სს „თემიდას“ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

სს „თემიდა“ დაფუძნდა 20X2 წელს. წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოება „თემიდაში“ მოხდა შემდეგი სამეურნეო ოპერაციები, რამაც გავლენა მოახდინა საკუთარ კაპიტალზე:

1. სს „თემიდაში“ გამოუშვა 100 ლარის ნომინალური ღირებულების 7.000 ცალი აქცია;
2. საწარმომ გამოუშვა 10 ლარის ნომინალური ღირებულების 2.500 აქცია, რომელიც გაყიდა 20 ლარად.
3. სს-მ მოახდინა შენობის აფასება 24.000 ლარით (მოგების გადასახადი 15%)
4. სს „თემიდას“ საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებით აღიარდა, შეადგინა 100.000 ლარი.

20X2 წლის განმავლობაში სს „თემიდაში“ მოხდა შემდეგი ოპერაციები, რამაც გავლენა მოახდინა საკუთარი კაპიტალის სიდიდეზე:

1. აქტივები აფასდა 40.000 ლარით;
2. სს-ს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებითაა აღიარებული შეადგენს 100.000 ლარს;
3. ფულადი სახსრებით გაიცა 32.000 ლარის დივიდენდი (22.000 ლარი ჩვეულებრივი და 10.000 პრივილეგირებული აქციების ძვლობელებზე);
4. სს-მ გამოუშვა 6.000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომელიც გაიყიდა 110 ლარად, სს-მ 1.500 ლარად გამოისყიდა 100 ცალი პრივილეგირებული საკუთარი აქცია.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

	ჩვეულებრივი აქციები	პრივილეგირებული აქციები	საემისო კაპიტალი	გამოსყიდული საკუთარი აქციები	გადაფასების ნაშთი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 20X0 წლის 01.01-სათვის	0	0	0	0	0	0	0
სულ მოცემული წლის სრული შემოსავლი							
სააქციო კაპიტალის გამოშვება							
ნაშთი 20X1 წლის 31 დეკემბერს							
სულ მოცემული წლის სრული შემოსავლი							
დივიდენდები							
სააქციო კაპიტალის გამოშვება							
საკუთარი აქციების გამოსყიდვა							
ნაშთი 20X2 წლის 31 დეკემბერს							

სამარჯიშო №3

დავალება: მოცემული ინფორმაციების (ბალანსის, მოგება-ზარალის) და დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, შეადგინეთ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგება 20X2 წლის 01.01-დან 20X2 წლის 31.12-მდე სააქციო საზოგადოება „იმედი“ გაზომვის ერთეული: ათასი ლარი		
შემოსავალი რეალიზებული პროდუქციიდან	1.396	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1040)
მოგება რეალიზაციიდან	356	
საოპერაციო ხარჯები (მოიცავს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციას 74000)		(294)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	62	
სხვა შემოსავლები და ხარჯები არასაოპერაციო საქმიანობიდან		
ხარჯები პროცენტის სახით		(46)
შემოსავლები პროცენტის სახით	12	
მოგება ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	24	
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(6)
მოგება დაბეგვრამდე	46	
მოგების გადასახადი		(14)
წმინდა მოგება	32	

დამატებითი ინფორმაცია:

1. საწარმომ წლის განმავლობაში შეიძინა 156 ათ.ლარის ფასიანი ქაღალდები;
2. ფასიანი ქაღალდები, რომლის შეძენის ღირებულება 180 ათ. ლარია გაიყიდა 204 ათ. ლარად;
3. ძირითადი საშუალება, რომლის თავდაპირველი ღირებულება შეადგენს 20 ათ. ლარს, ზოლო დარიცხული ამორტიზაცია 4 ათ. ლარს. გაიყიდა 10 ათ. ლარად;
4. 232 ათ. ლარის ობლიგაციები გაიცვალა ძირითად საშუალებებში (არაფულადი გატარება);
5. საწარმომ გაანაღდა თავის მიერ გამოშვებული 100 ათ. ლარის ობლიგაციები ;
6. გამოუშვა და გაიყიდა 60 ათ. ჩვეულებრივი აქცია 300 ათ. ლარად;
7. გადაიხადა 16 ათ. ლარი დივიდენდის სახით;
8. შეიძინა ფულით 420000 ლარის ძირითადი საშუალება.

ბალანსი

31. 12. 20X2 წელი

სააქციო საზოგადოება „იმელი“

ზომის ერთეული: ათ. ლარი

	საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი	საანგარიშო პერიოდის ბოლო	+ -
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	92	30	
დებიტორული დავალიანება	94	110	
მარაგი	288	220	
ავანსად გაწეული ხარჯი	2	10	
მთლიანი მიმდინარე აქტივები	476	370	
გრძელვადიანი აქტივები			
ფინანსური ინვესტიციები	254	230	
ძირითადი საშუალებები	920	1552	
დარიცხული ამორტიზაცია	(136)	(206)	
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	1038	1576	
მთლიანი აქტივები	1514	1946	
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	100	86	
დარიცხული ვალდებულებები	24	18	
სავადასახადო დავალიანება	6	10	
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	130	114	
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გასანაღდებელი ობლიგაციები	490	622	
მთლიანი ვალდებულებები	620	736	
მფლობელთა კაპიტალი			
ჩვეულებრივი აქციები	400	552	
საემისიო კაპიტალი	230	378	
გაუნაწილებელი მოგება	264	280	
მთლიანი მფლობელთა კაპიტალი	894	1210	
მთლიანი ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი	1514	1946	

ფულადი სახსრების მიმოქცევის ანგარიშგება (პირდაპირი მეთოდით)

ზომის ერთეული: ათ. ლარი

	ფულადი ნაკადების განგარიშება	ფულადი ნაკადების შემოდინება და გადინება (+ -)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფული		
რეალიზაციიდან მიღებული ფული		
მიღებული პროცენტები %		
მთლიანი მიღებული ფულადი სახსრები		
გაცემული ფული		
პროდუქციის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		
საოპერაციო ფულადი ხარჯები		
გადახდილი პროცენტები %		
გადახდილი გადასახადები		
მთლიანი გადახდილი ფულადი სახსრები		
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფასიანი ქაღალდების შეძენა		
ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ობლიგაციის განაღდება		
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		
გადახდილი დივიდენდები		
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (შემცირება)		
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

ფულადი სახსრების მიმოქცევის ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით
20X2 წლის 01.01-დან 20X2 წლის 31.12-მდე
სააქციო საზოგადოება „იმელი“
გაზომვის ერთეული ათ. ლარი

	ფულადი ნაკადების გაანგარიშება	ფულადი ნაკადების შემოდინება და გაღონება (+ -)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება		
მოგების შესწორებები:		
ამორტიზაცია		
მოგება ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან		
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		
დებიტორული დავალიანების ზრდა		
მარაგის შემცირება		
წინასწარგადახდილი ხარჯების ზრდა		
კრედიტორული დავალიანების შემცირება		
დარიცხული ვალდებულებების შემცირება		
გადასახადების დავალიანების ზრდა		
მოგების მთლიანი შესწორებები		
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფასიანი ქაღალდების შეძენა		
ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ობლიგაციების განაღდება		
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		
გადახდილი დივიდენდები		
სულ ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სულ ფულადი სახსრების ზრდა(შემცირება)		
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

ს ა ვ ა რ გ ი შ ი N 4

ს/ს „მერკური“ რომელიც დაფუძნდა 20X9 14 ნოემბერს ქ. თბილისში აკაკი წერეთლის 17-ში და ახდენს კომპიუტერების რეალიზაციას და შეკეთებას.

დავალბა 1. ს/ს „მერკურის“ 20X9 წლის დეკემბრის თვის ოპერაციების მიხედვით შეასრულეთ გატარებები საბუღალტრო პროგრამაში. გატარებების შესრულების დროს გაითვალისწინეთ ცხრილის შენიშვნები. აიღეთ ასლი და გადმოაგზავნეთ.

დავალბა 2. შეადგინეთ ფინანსური ანგარიშგება.

- 2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)
- 2.2 სრული შემოსავლების (მოგება-ზარალის) ანგარიშგება
- 2.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- 2.4 პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მოცემულია დეკემბრის თვეში ს/ს „მერკურის“ (ს/კ 123456789) მიერ განხორციელებული ოპერაციები

N	თარიღი	ოპერაციის შინაარსი	თანხა	შენიშვნა N	ანგ. N	დებიტი	კრედიტი
1.	03.12	საბანკო ანგარიშზე მიიღო ფულადი სახსრები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან	25000		1210 5110	25000	25000
2.	07.12	შპს „ალფა“-ს (ს/კ 11111111) წინასწარ ჩაურიცხა დეკემბრის თვის იჯარა	500		1720 1210	500	500
3.	08.12	მომხმარებელს – შპს „ბეტა“-ს (ს/კ 22222222), გაუზავნა ანგარიში გაწეული მომსახურებისათვის	900		1410 6110	900	900
4.	10.12	დებიტორისგან (შპს ბეტა) მიიღო 900 ლარი ნაღდი ანგარიშსწორებით	900		1110 1410	900	900
5.	11.12	კრედიტში, მომწოდებლისაგან (შპს ნემო, ს/კ 33333333) შეიძინა შემდეგი ძირითადი საშუალებები ა) ორი ცალი საოფისე მაგიდა	400	1	2170 2170 2160 3110	400 600 2000	3000
		ბ) ორი ცალი საოფისე კარადა	600				
		გ) ორი ცალი კონდიციონერი	2000				
6.	16.12	შპს „TV33“-ში (ს/კ 44444444) რეკლამის განთავსებისთვის დაერიცხა 210 ლარის გადახდის ვალდებულება. თანხა გადაიხადა ამავე დღეს უნაღდო ანგარიშსწორებით	210		7310 3110 3110 1210	210 210	210 210
7.	20.12	მომწოდებლისაგან (შპს „გამა“, ს/კ 55555555) კრედიტით შეიძინა საქონელი (2000 ცალი კომპიუტერი) ღირებულებით	400000	2	1610 3110	400000	400000
		დეკემბრის თვეში დაერიცხათ ხელფასი ა) გამყიდველს ბ) ადმინისტრაციის თანამშრომელს	800 1100		7320 7410 3130	800 1100	1900

8.	27.12	დარიცხული ხელფასიდან დაუკავდათ საშემოსავლო გადასახადი	380	3	3130 3320	380	380
		ამავე დღეს ჩაერიცხათ თანამშრომლებს ხელფასები	1520		3130 1210	1520	1520
		მოხდა საშემოსავლოს ბიუჯეტში გადარიცხვა	380		3320 1210	380	380
9.	28.12	მომხმარებელს, შპს „ბეტა“-ს, კრედიტში მიჰყიდა საქონელი (1250 ცალი კომპიუტერი) სარეალიზაციო ღირებულებით	312500	4	1410 6110	312500	312500
		გაყიდული საქონლის ფაქტიური თვითღირებულება იყო	250000		7210 1610	250000	250000
		მომხმარებელმა ამავე დღეს ჩაურიცხა საბანკო ანგარიშზე საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის თანხა	312500		1210 1410	312500	312500
10.	29.12	მყიდველს (შპს „ბეტა“) გაეგზავნა ანგარიში გაწეული მომსახურებისათვის	2200		1410 6110	2200	2200
11.	29.12	დივიდენდის გამოცხადება	2000		5310 3420	2000	2000
		დივიდენდის საშემოსავლოს დაკავება	100		3420 3320	100	100
12.	29.12	დივიდენდის გაცემა	1900		3420 1210	1900	1900
		დივიდენდის საშემოსავლოს ბიუჯეტში გადარიცხვა	100		3320 1210	100	100
13.	29.12	მოგების გადასახადის აღარება ესტონური მოდელის საფუძველზე	352.94	9	9210 3310	352.94	352.94
14.	30.12	მომწოდებელს, შპს „ნემო“-ს, გადაურიცხა კრედიტში შეძენილი ძირითადი საშუალებების ღირებულება	3000		3110 1210	3000	3000
15.	30.12	შპს „ახალი ქსელები“-დან (ს/კ 211326732) მიიღო დეკემბრის თვის ანგარიშ-ფაქტურა	450		7430 3110	450	450
16.	30.12	ბანკიდან აიღო გრძელვადიანი სესხი, რომლის დაფარვა დაიწყება 1 წლის შემდეგ. თანხა მიღებულია საბანკო ოპერაციით	20000		1210 4140	20000	20000
17.	30.12	საბანკო ოპერაციით გადაიხადა მომწოდებლის (შპს „გამა“) დავალიანება	15000		3110 1210	15000	15000
18.	30.12	მოეწყო საახალწლო საღამო, რისთვისაც გადაირიცხა თანხა	300		7490 1210	300	300
19.	30.12	ცვთის დარიცხვის ოპერაციის შერულება	40.48	5	7455 2270 2270	40.48	6.67 10

					2260		23.81
20.	31.12	იჯარის ხარჯის დარიცხვა	500		7420 1720	500	500
21.	31.12	ქონების გადასახადის დარიცხვა	2.47	6	7465 3390	2.47	2.47
22.	31.12	შემოსავლების და ხარჯების ამსახველი დოებითი ანგარიშების დახურვა		7	6110 5330 5330 7210 7300 7400 9210	315600 253755.89	315600 250000 1010 2392.95 352.94
24.	31.12	მოგება-ზარალის დროებითი ანგარიშის დახურვა		8	5330 5310	61844.11	61844.11

შენიშვნა:

1. გატარებების შესრულებამდე პროგრამაში გადადით ძირითადი საშუალებების სიაში, თითოეულ დასახელებაზე გახსენით ბარათი და შეიყვანეთ ინფორმაცია:

ა) საოფისე მაგიდა: რაოდენობა – 2, საბუღალტრო ანგარიში – 2170, ცვეთის დასარიცხი ანგარიში – 2270, ცვეთის დარიცხვის მეთოდი – წრფივი, საბალანსო ღირებულება – 400, დარიცხვის თვეების რაოდენობა – 1, სასარგებლო მომსახურების ვადა - 5 წელი.

ბ) საოფისე კარადა: რაოდენობა – 2, საბუღალტრო ანგარიში – 2170, ცვეთის დასარიცხი ანგარიში – 2270, ცვეთის დარიცხვის მეთოდი – წრფივი, საბალანსო ღირებულება – 600, დარიცხვის თვეების რაოდენობა – 1, სასარგებლო მომსახურების ვადა - 5 წელი.

გ) კონდიციონერი: რაოდენობა – 2, საბუღალტრო ანგარიში – 2160, ცვეთის დასარიცხი ანგარიში – 2260, ცვეთის დარიცხვის მეთოდი – წრფივი, საბალანსო ღირებულება – 2000, დარიცხვის თვეების რაოდენობა – 1, სასარგებლო მომსახურების ვადა - 7 წელი.

გატარებების შესასრულებლად გადადით მენეჯერულ ოპერაციებში და გახსენით მიღების ოპერაციები.

P.S მსგავსი ოპერაციები შესრულებული გვქავს მე-12 თავის ამოცანებში და სწრაფად დაწყების სახელმძღვანელოს ვიდეოაქსნაში.

2. გატარების შესასრულებლად გადადით მენეჯერულ ოპერაციებში და გახსენით მიღების ოპერაციები.

1610 ანგარიშზე გახსენით საგნის ჯგუფის ამსახველი ქვეანგარიში დასახელებით კომპიუტერი.

P.S მსგავსი ოპერაციები შესრულებული გვქავს მე-11 თავის ამოცანებში და სწრაფად დაწყების სახელმძღვანელოს ვიდეოაქსნაში.

3. დამატებითი მონაცემები თანამშრომლებზე:

გამიდგელი – თამარ დევიძე, პ/ნ 60001061612

ადმინისტრაციის თანამშრომელი – ირაკლი სიგუა (დირექტორი), პ/ნ 60001068717

მოახდინეთ ხელფასის დარიცხვის უწყისის ფორმირება, პროგრამულად შეასრულეთ ხელფასის დარიცხვისა და გადახდის გატარებები.

P.S მსგავსი ოპერაციები შესრულებული გვქავს მე-14 თავის ამოცანებში და სწრაფად დაწყების სახელმძღვანელოს ვიდეოაქსნაში.

4. გატარების შესასრულებლად გადადით მენეჯერულ ოპერაციებში და გახსენით მიწოდების ოპერაციები.

P.S მსგავსი ოპერაციები შესრულებული გვქავს მე-11 თავის ამოცანებში და სწრაფად დაწყების სახელმძღვანელოს ვიდეოაქსნაში.

5. ცვეთის დარიცხვის ოპერაცია შეასრულეთ პროგრამულად. გახსენით ძირითადი საშუალებების სია,

მონიშნეთ შესაბამისი დასახელებები და ინსტრუმენტების მენიუში დააკლიკეთ ღილაკს – ცვეთის დარიცხვა.

P.S მსგავსი ოპერაციები შესრულებული გვქავს მე-12 თავის ამოცანებში.

6. ქონების გადასახადის ხარჯი დაარიცხეთ ერთ თვეზე გაანგარიშებით. წლის ბოლოს ცვეთის გამოკლების შედეგად დარჩენილი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულების

ნაშთი – 2959.52 გაამრავლეთ 1%-ზე, მიღებული შედეგი გაყავით 12 თვეზე და გაამრავლეთ 1 თვეზე. (ქონების გადასახადის გაანგარიშებას გავივლით მეორე დონეზე)

7. შემოსავლების და ხარჯების ამსახველი ანგარიშები დახურეთ პროგრამულად. ამისათვის გადადით

მაკრო ოპერაციებში და დააკლიკეთ შემოსავლებისა და ხარჯების გადახურვას.

P.S მსგავსი ოპერაციები შესრულებული გვქავს მე-19 თავის ამოცანაში.

8. მოგება-ზარალის დროებითი ანგარიში დახურეთ პროგრამულად. ამისათვის გადადით მაკრო ოპერაციებში და დააკლიკეთ მოგება-ზარალის გადახურვას.

P.S მსგავსი ოპერაციები შესრულებული გვქავს მე-19 თავის ამოცანაში.

9. მოგების გადასახადის ესტონური მოდელით გაანგარიშებას გავივლით მეორე დონეზე.

სრული შემოსავლების (მოგება - ზარალის) ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდისათვის

20X9 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სუბიექტი: ს/ს მერკური

საქმიანობის ტიპი: კომპიუტერების რეალიზაცია და შეკეთება

მისამართი: თბილისი აკაკი წერეთლის 17

გაზომვის ერთეული: ლარი

წარდგენის თარიღი:

	20X9 წელი	20X8 წელი
ამონაგები	0	x
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	x
საერთო მოგება	<u>0</u>	<u>x</u>
მიწოდების ხარჯები	0	x
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	0	x
მოგება დაბეგვრამდე	<u>0</u>	<u>x</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	0	x
მოგება დაბეგვრის შემდეგ	<u>0</u>	<u>x</u>
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	<u>0</u>	<u>x</u>

დირექტორი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება(ბალანსი)

20X9 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სუბიექტი: ს/ს მერკური

საქმიანობის ტიპი: კომპიუტერების რეალიზაცია და შეკეთება

მისამართი: ქ. თბილისი აკაკი წერეთლის 17

გაზომვის ერთეული: ლარი

წარდგენის თარიღი:

	31.12.20X9	31.12.20X8
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	0	X
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>0</u>	<u>X</u>
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	0	X
მოთხოვნები	0	X
ფულადი სახსრები	0	X
სულ მოკლევადიანი აქტივები	<u>0</u>	<u>X</u>
სულ აქტივები	<u>0</u>	<u>X</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
სააქციო კაპიტალი	0	X
აკუმულირებული მოგება (ზარალი)	0	X
სულ კაპიტალი და რეზერვები	<u>0</u>	<u>X</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	0	X
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>0</u>	<u>X</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული ავანსი		
სავაჭრო ვალდებულებები	0	X
საგადასახადო ვალდებულებები	0	X
დარიცხული ვალდებულება		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>0</u>	<u>X</u>
სულ საკ. კაპიტალი და ვალდებულებ.	<u>0</u>	<u>X</u>

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

31.12.20X9 წლისათვის

სუბიექტი: ს/ს მერკური

საქმიანობის ტიპი: კომპიუტერების რეალიზაცია და შეკეთება

მისამართი: ქ. თბილისი აკაკი წერეთლის 17

გაზომვის ერთეული: ლარი

წარდგენის თარიღი:

	სააქციო კაპიტალი	აკუმულ. მოგება ზარალი	ს უ ლ
ნაშთი 20X7 წლის 31 დეკემბრისათვის	0	0	0
ნაშთი ცვლილების შემდეგ	0	0	0
ნაშთი 20X8 წლის 31 დეკემბრისათვის	0	0	0
ნაშთი ცვლილების შემდეგ	0	0	0
სააქციო კაპიტალის გამოშვება	0		0
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი	0	0	0
დივიდენდი	0	(0)	(0)
ნაშთი 20X9 წლის 31 დეკემბრისათვის	0	0	0

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
20X9 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სუბიექტი: ს/ს მერკური

საქმიანობის ტიპი: კომპიუტერების რეალიზაცია და შეკეთება

მისამართი: ქ. თბილისი აკაკი წერეთლის 17

გაზომვის ერთეული: ლარი

წარდგენის თარიღი:

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა N	20X9 წელი	20X8 წელი
მიღებული ფული			
მომხმარებლიდან მიღებული ფულადი სახსრები	1	0	
მომწოდებლებზე და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	2	(0)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		0	0
გადახდილი გადასახადები	3	(0)	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		0	0
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის		(0)	
ფულადი სახსრების შემოსავლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან			
მიღებული პროცენტები			
მიღებული დივიდენდები			
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		(0)	0
საფინანსო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსავლა კაპიტალის განაღდებად		0	
ფულადი სახსრების შემოსავლა გრძელვადიანი სესხებიდან		0	
სესხის ძირის გადახდა			
სესხის პროცენტის გადახდა			
დივიდენდის გადახდა		(0)	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		0	0
ნეტო ფულადი სახსრების შემოსავლა წლის განმავლობაში		0	0
ფულადი სახსრები საანგარ. პერიოდის დასაწყისში		0	0
ფულადი სახსრები საანგარ. პერიოდის ბოლოს		0	0

გაანგარიშება შესრულებულია პირდაპირი მეთოდით:

- 1.
- 2.
- 3.